

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 18 ოქტომბერი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 16

ქ. თერჯოლა

18 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ამირან ვერულაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. კახა ბუცხრიკიძე, 18. რამინი რობაქიძე, 19. თამარ ახვლედიანი, 20. ფრიდონი გვენეტაძე, 21. მერაბი ბასილაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. ტარიელ ფანჩულიძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. დავით ცხადაძე, 4. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 26 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 20 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282229095, 17.10.2022 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 29534.1 ათას ლარს.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 60.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 60.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 60.0 ათასი ლარით. გზების დაფინანსება გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 , წინააღმდეგი - 6

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №17, 18.10.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის გარდაცვალების ფაქტი არის მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.
აღნიშნა, რომ მერის უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტის პროცედურებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 56-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-8 ნაწილები.
საკრებულოს მიერ ცნობად უნდა იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს ლაშა გოგიაშვილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.
საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებს მერის პირველი მოადგილე გარდაცვალების ფაქტის დადგომის მეორე დღიდან, 2022 წლის 09 ოქტომბრიდან.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს ლაშა გოგიაშვილს თერჯოლის მუნიუციპალიტეტის მერის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებს მერის პირველი მოადგილე, მანუჩარ რობაქიძე, 2022 წლის 9 ოქტომბრიდან. (განკარგულება №g-29.2922291001, 18. 10.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი